დაიჯესტი

7 – 13 ივნისი, 2021

TRC
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ სანქციებს უწესებს იემენის ჰუსიტების დაფინანსებასთან დაკავშირებულ ქსელს. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა მოუწოდა ჰუსიტებს ცეცხლის შეეწყვიტისა და პოლიტიკური შეთანხმების მოლაპარაკებების გაგრძელებისკენ.

დაეშის მხარდაჭერაში ბრალდებული კაცი ლანსინგიდან, თავს დამნაშავედ ცნობს. 28 წლის, მოჰამად ჯაჰი თავს დამნაშავედ ცნობს შეთქმულებაში დაეშისთვის მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.

გაერთიანებული სამეფო

28 წლის ჰისამ ჩოდჰარი, ჩესტ დრაივიდან, ბრალდებულია ინტერნეტში ტერორისტული პროპაგანდის გავრცელებაში. ის უარყოფს ტერორისტული პუბლიკაციის გავრცელების ოთხ პუნქტს, აკრძალული ორგანიზაციის წევრობის ერთ პუნქტს და ტერორიზმის დაფინანსების ორ პუნქტს. ელექტრონული ჩანაწერების თანახმად, ჰისამ ჩოდჰარი ფულს ბიტკოინებში ცვლიდა და დაეშის ჯგუფებში გზავნიდა. გარდა ამისა, როდესაც ჩოდჰარი დააპატიმრეს გამთენიისას დარბევის დროს, ანტიტერორისტულმა პოლიციამ მის საძინებელში იპოვა მოწყობილობები, რომელშიც აღწერილი იყო დაეშის პროპაგანდისტული ვიდეოები.

„გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტიის" ყოფილი წევრი - დინ მორისს ტერორიზმის ბრალდება დაუმტკიცდა. პოლიციამ მის სახლში ტერორიზმის სახელმძღვანელოები და ქიმიური ნივთიერებები აღმოაჩინა. ამასთანავე დინ მორისი ფლობდა ტელეგრამის არხს, სადაც ნეო-ნაცისტურ ძალადობრივ პროპაგანდას ავრცელებდა.

კანადა

ქალაქ ლონდონში, ონტარიოს პროვინციაში ავტომანქანა განზრახ დაეჯახა სასეირნოდ მყოფ მუსლიმ ოჯახს. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ოჯახის ოთხი წევრი, ხოლო მეხუთე წევრი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. აღნიშნული თავდასხმა კანადის პრემიერ-მინისტრმა, ჯასტინ ტრუდომ, შეაფასა როგორც ტერორისტული აქტი, რომელიც ჩადენილი იყო რელიგიური სიძულვილის საფუძველზე.

მუსლიმთა ოჯახის მკვლელობის საპასუხოდ, კანადის ხელისუფლება ონლაინ ექსტრემიზმზე იერიშის მიტანას გეგმავს. კანადის ოფიციალური წარმომადგენლის თანახმად ისინი აქტიურად მუშაობენ სოციალური მედიის პლატფორმებთან, რათა გადადგან ქმედითი ნაბიჯები. მისივე თქმით, კონკრეტული ნაბიჯების შესახებ ცნობილი მომდევნო რამდენიმე კვირაში გახდება.

საფრანგეთი

პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ საფრანგეთის კონტრ-ტერორისტული სამხედრო ოპერაცია აფრიკაში, კერძოდ საჰელის რეგიონში შეწყდება და იგი ახალი, მულტილატერალური ოპერაციითს ჩანაცვლდება, სადაც ჩართული იქნებიან საფრანგეთის მოკავშირეები. პრეზიდენტს არ დაუზუსტებია აპირებს თუ არა იქ განლაგებული 5 000 ჯარისკაცის გამოხმობას. პრეზიდენტის განცხადებიდან მალევე საფრანგეთის არმიის მინისტრმა თქვა, რომ მათ გაანეიტრალეს აღ კაიდას ერთ-ერთი ლიდერი - ბაიე აგ ბაკაბო საჰელის რეგიონში.

იტალია

იტალიის პოლიციამ აღკვეთა ნეო-ნაცისტური დაჯგუფება, რომელიც ონლაინ სივრცის გამოყენებით ანტისემიტურ და რასისტულ პროპაგანდას ავრცელებდა. ჯგუფი მიზნად ისახავდა ახალგაზრდების წახალისებას ექსტრემისტული ძალადობის განხორციელებაში. პოლიციის განცხადებით, ჯგუფი ნატოს ობიექტზე ხელნაკეთი ასაფეთქებლებით თავდასხმის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე იყო.

ევროკავშირი

ევროკავშირმა პანდემიის შედეგად კრიმინალისა და ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეების ზრდის შესაძლებლობის შესახებ განცხადება გააკეთა. ევროკავშირის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა გაზრდილი კიბერ საფრთხეები. მისივე თქმით, პანდემიის გავლენა ტერორიზმზე ჯერ კიდევ შეზღუდულია, თუმცა პანდემიის შედეგად მიღებულმა შეზღუდვებმა შეიძლება შეამციროს კონტრ-ტერორისტულ მექანიზმთა ეფექტურობა. ამასთან ერთად, განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ პანდემიამ და მისგან გამოწვეულმა სოციო-ეკონომიკურმა პრობლემებმა შეიძლება შექმნას ტერორისტთა რეკრუტირებისთვის შესაფერისი გარემო.

კენია

კენიაში ალ-შაბააბის წევრების თავდასხმის შედეგად გარდაიცვალა 2 ადამიანი. ისინი „კენიის ველური ბუნების მომსახურების" (KWS) თანამშრომლები იყვნენ. ოფიციალური პირების თქმით, ისინი სავარაუდოდ იმ შეიარაღებულ პირებს გადააწყდნენ, რომლებიც გაურბოდნენ მიმდინარე უსაფრთხოების ოპერაციას.

ნიგერია

ჩრდილო-დასავლეთ ნიგერიაში თავდასხმას 88 ადამიანი ემსხვერპლა. ამავე რეგიონში, აპრილში 9 პოლიციელი შეეწირა შეიარაღებული პირების თავდასხმას.

ნიგერიაში ექსტრემისტული ძალადობა, კომუნალური შეტაკებები და კრიმინალის ზრდა დაუცველობის ნიადაგს ქმნის. განსაკუთრებულ სიტუაციას წარმოადგენს მაისის ბოლოს მომხდარი ინციდენტი. გამტაცებლებმა 136 ბავშვი და სამი მასწავლებელი გაათავისუფლეს, მას შემდეგ, რაც ერთი ადამიანი მოკლეს. შემთხვევას ასევე ორი მშობელის სიცოცხლეც შეეწირა. გამტაცებლები ბავშვების სიცოცხლის სანაცვლოდ დიდ თანხებს ითხოვდნენ.

ნიგერიის პრეზიდენტის - მუჰამმადუ ბუჰარის მტკიცებით ბოკო ჰარამის გამძლავრების ძირითადი მიზეზი ახალგაზრდათა შორის უმუშევრობა და სიღარიბეა. მისივე მტკიცებით, მისმა ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ, თუმცა სიტუაცია ჯერ კიდევ რთულია.

ტერორისტული ორგანიზაცია ბოკო ჰარამის ლიდერის თვითმკვლელობას გავრცელებული ჩანაწერიც ადასტურებს. დასავლეთ აფრიკის პროვინციის ისლამური სახელმწიფოს (ISWAP) ლიდერი, ჩანაწერში ადასტურებს ბოკო ჰარამის მეთაურის, აბუბაქარ შეკაუს სიკვდილს.

სომალი

ოფიციალური განცხადების მიხედვით, სომალის არმიამ ალ-შაბააბის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიდერი დააკავა. აღსანიშნავია, რომ სომალის არმია ალ-შაბააბის წინააღმდეგ 2 კვირიან ოპერაციას ატარებს, რომლის შედეგადაც უკვე ლიკვიდირებულია 130 ტერორისტი და განთავისუფლებულია 6 სოფელი.

ერაყი

კასიმ მუსლიჰი - ირანთან დაკავშირებული შეიარაღებული დაჯგუფების ხელმძღვანელი, რომელიც ერაყის უსაფრთხოების ძალებმა 26 მაისს დააკავეს, თავისუფალია. გამოძიებამ ვერ წარადგინა საკმარისი მტკიცებულება მის წინააღმდეგ. ეს მნიშვნელოვანი დარტყმაა ერაყის პრემიერ-მინისტრ მუსტაფა ალ-ქაზიმისთვის, რომელიც საჯაროდ დაუპირისპირდა ირანის მიერ მხარდაჭერილ შეიარაღებულ დაჯგუფებებს.

ბაღდადში ერაყის დაზვერვის უფროსი ოფიცერი მოკლეს. უცნობმა პირმა ცეცხლი გაუხსნა ნებრას შაბანს და მაშინვე მოკლა. შესაბამისმა უწყებებმა გამოძიება დაიწყეს.

ავღანეთი

ავღნეთის უსაფრთხოების ძალებმა მოახდინა 91 ანტისახელმწიფოებრივი შეიარაღებული პირის ლიკვიდაცია, ხოლო დაიჭრა 63. თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, კონფლიქტები და საპასუხო დარბევები ქვეყნის მასშტაბით რვა რეგიონში განხორციელდა. ავღანეთის ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალებმა სხვადასხვა ტიპის ნაღმი, მსუბუქი იარაღი და საბრძოლო მასალები ამოიღო.

ავღანეთის მთავრობის და თალიბანის წარმომადგენლები ერთმანეთს კატარის დედაქალაქ დოჰაში შეხვდნენ. ამ ფორმატში მხარეებს შორის მოლაპარაკება სექტემბერში დაიწყო, თუმცა მოლაპარაკებები შეწყდა მას შემდეგ, რაც აშშ-ს პრეზიდენტმა ბაიდენმა სამხედრო შენაერთების ავღანეთის ტერიტორიაზე სექტემბრამდე დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. აპრილში შენელებული და მაისში შეწყვეტილი მოლაპარაკებების შემდეგ, ეს მხარეებს შორის პირველი შეხვედრაა.
ნიუ იორკ თაიმზის ცნობით, თუკი აშშ-ს მიერ ავღანეთის დატოვების შედეგად გაჩნდება რისკი თალიბანის მიერ ქალაქების დაკავებისა, აშშ შესაძლებლად განიხილავს დრონებისა და სამხედრო თვითმფრინავების გამოყენებას.

ბურკინა ფასო

ბურკინა ფასოში ბოლო წლებში ყველაზე სიკვდილიანი თავდასხმა განხორციელდა. გარდაცვლილთა რაოდენობა 132 ადამიანს აღწევს, უამრავი ადამიანია დაჭრილი. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ჯერ არავის აუღია. თუმცა, საჰელის რეგიონის ანალიტიკოსები ასკვნიან, რომ თავდასხმა ალ კაიდასთან აფილირებულმა ჯგუფმა, JNIM-მა დაგეგმა და განახორციელა.

იემენი

იემენელი ჟურნალისტის, საიდ ალ-ბათათის მტკიცებით, იემენში ჰუსიტების მხრიდან ძალადობა იზრდება, რაშიც თავისი წვლილი შეაქვს დასავლური მედიის მხრიდან აქ მიმდინარე პროცესების ნაკლებად გაშუქებას.

ლიბანი

ჰეზბოლას ლიდერმა - ჰასან ნასრალამ განაცხადა, რომ იგი მზადაა ენერგო რესურსების პირდაპირ ირანიდან შესყიდვისთვის, რათა გადაიჭრას ის ენერგო-კრიზისი რაც ქვეყანაში დღეს არსებობს. ლიბანში ენერგო კრიზისი დღითიდღე უარესდება, სახელწმიფოში არსებული პოლიტიკური დამაბულობა კი ამ პრობლემის გადაჭრას კიდევ უფრო ართულებს.

სუდანი

სუდანის მთავრობამ ალ კაიდას 9 ტერორისტი დააკავა. ალ კაიდას წევრები სუდანში ტერაქტის განხორციელებას გეგმავდნენ. ეს პირები საკუთარ ქვეყნებში ექსტრემიზმისტული დანაშაულების ჩადენაში არიან ბრალდებულნი.

ერაყი

საჰაერო ოპერაციის დროს თურქეთის უსაფრთხოების ძალებმა ჩრდილოეთ ერაყში გაანეიტრალეს ქურთისტანის მუშათა პარტიის (PKK) ორი ტერორისტი. PKK ხშირად თავს აფარებს ჩრდილოეთ ერაყს და სწორედ აქედან გეგმავს ტერორისტულ თავდასხმებს. თურქეთის წინააღმდეგ 35 წელზე მეტი ხნის ტერორისტული კამპანიის დროს, PKK, რომელიც თურქეთის, აშშ-სა და ევროკავშირის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად არის აღიარებული, პასუხისმგებელია მინიმუმ 40,000 ადამიანის, მათ შორის ქალებისა და ბავშვებისა სიკვდილზე.

სომალი

სომალის ქვედა შაბელის რეგიონში ტერორისტული ჯგუფის მიერ საწყობად გამოყენებული სახლის აფეთქების შედეგად დაიღუპა მინიმუმ 60 ტერორისტი ალ-შაბაბის ორგანიზაციიდან. აქედან ერთ-ერთი ავღანეთის მოქალაქე აჰმედ შარიფი, ანუ აბუ ბილალი, იყო. აფეთქების შედეგად დაიღუპა აბუ ბილალის ოჯახის წევრებიც. სომალის სამხედროებმა ბოლო დროს გააუმჯობესეს ოპერაციები შუა შაბელის რეგიონში, სადაც მინიმუმ 100 ტერორისტი დაიღუპა ალ-შაბაბითან ერთად, რომელიც ტერორისტულ ჯგუფ ალ კაიდასთან არის დაკავშირებული.

ერაყი

დაეშის 18 წევრი დააკავეს ნინევიაში, ჩრდილოეთ ერაყში. ტერორისტებმა აღიარეს ტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობა უსაფრთხოების ძალებისა და მოქალაქეების წინააღმდეგ.

ინდოეთი

იმფალ ვესტში, მანიპურის სტუდენტური კავშირის შტაბში (AMSU), ხელყუმბარა აფეთქდა. ქმედება ტერორისტულ აქტად იქნა მიჩნეული და განიხილება, როგორც მანიპურის საზოგადოების, განსაკუთრებით სტუდენტების, გამოწვევად.

პაკისტანი

პაკისტანი უარს ამბობს ავღანეთში ანტიტერორისტული მიზნით აშშ-ს სამხედრო ბაზების განთავსებაზე. პაკისტანის ოფიციალური პირები ადასტურებენ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორის, უილიამ ბერნსის, ვიზიტს, რომელიც წინა კვირაში განხორციელდა. როგორც ცნობილია, ბერნსი ეძებდა ბაზებს ავღანეთის გარშემო, საიდანაც აშშ-ს შეეძლო დაზვერვის მონაცემების შეგროვება ავღანეთის შესახებ და ჯარის გაყვანის დასრულების შემდეგ ანტიტერორისტული დარტყმების განხორციელება.